



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

**ბ ა ნ კ ა რ ბ შ უ ლ ე ბ ა**

20/04/2023

N 174

თბილისი


**შპს “ჯეოსთილის“ (ს/ნ: 216425919) ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის (ფქსსნ) მინიჭების თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-13 პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის N13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს “ჯეოსთილის“ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი და შპს “ჯეოსთილის“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700604319.
2. წინამდებარე განკარგულების ამოქმედებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს შპს “ჯეოსთილის“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ობლიგაციებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნიკოლოზ გაგუა



ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს ეროვნული ბანკი

